

4
1963



— შეხედე, როგორ გასუქდა ლონგინოზი სასუქო კი-
ლით!
— მერე და ყანის პირას დაყრილი სასუქით ფიჭვობს მა-
ღალი მოსავლის მიღებას?

ნან. ჯ. მორთუხი

№ 7 თბილისი აკრილი 1963

ბავშვი

გამოცემის 80-40 წელი, ფასი 20 ჰაპ.



სახლმარ



— შეხედეთ, პატივცემულო გო, რა კარგად გავაფორმეთ ჩვენი კლუბი.
— იაფფასიანი მხატვრობაა!
— რას ბრძანებთ, ბატონო, ძალიან ძვირი დაგვიჯდა!


სხვის მავიჯრად

ჩემს ძველ მეგობარს არდალიონს დიდი ბედნიერება ხვდა წილად. ტაქსების გაჩერება მისი სახლის წინ მოაწყვეს.
სხვა ფაქტორებთან ერთად. შეიძლება ამითაც აიხსნას, რომ მე არდალიონის ხშირი სტუმარი ვარ. გუშინაც, სამსახურის დამთავრების შემდეგ, პირდაპირ მას მივადექი კარზე. მაგრამ ბედმა მიმტყუნა და სახლში არავინ დამხვდა. რას ვიზამდი, უკან გამოვბრუნდი.
ტაქსის რიგმა მაშინ მომიწია, როცა დაღამდა და „დღის სინათლე“ აანთეს. ამ შუქის წყალობით ციებინაივით გაყვითლებული შევედი მანქანაში. მძღოლმა ჩემი გამოცხადება მრიცხველის ჩართვით აღნიშნა და ავანსის სახით 10 კაპიკი დასწერა ჩემს ანგარიშზე.
მანქანა დაიძრა და 10 მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ მრიცხველმა, ახლა უკვე საკუთარი ინიციატივით, უცნაური ხმით გაიჩხაკუნა და მის დაფაზე 10 კაპიკის ადგილი 20 კაპიკმა დაიკავა. მინდოდა გამომერკვია, თუ რით იყო გამოწვეული მრიცხველის თაღლითობა, მაგრამ ამ დროს ქუჩაში მომავალი ჩემი მეგობარი არდალიონი დავინახე და მძღოლს სასწრაფოდ გავაჩერებინე მანქანა.
— რამდენი უნდა გადავიხადო, მეგობარო? — შევეკითხე მას.
— თვლა ხომ იცი ოცამდე? დამატება შენს გაქვაცობაზე და მოკიდებული, — მივიღე პასუხი.
— ათი მეტრის გავლაში 20 კაპიკს მახდევინებ და კიდევ დამატებაზე ლაპარაკობ! — ვუთხარი გაცეცხლებულმა.
— ეს ძველი მრიცხველია და ასე ბითუმად იცის თვლა. შენზე ადრე ერთი ახალგაზრდა წამოვიყვანე სადგურიდან და სწორედ იმ დროს გადმომიხტა მანქანიდან, როცა მრიცხველს ახალი რიცხვი უნდა დაეწერა და მისი ვალი შენზე გადმოვიდა. ბიძაჩემო, და ახლა შენ უნდა გადაიხადო სხვის მავიჯრად, — მიმასუხა მძღოლმა.

ნ. მკვარცხელიანი.

ის იყო ნიანგი სახლმმართველის კაბინეტს მიაღდა, რომ ალიაქოთი ატყდა:
— გამიშვი, ქალო!
— გამიშვი და გაგიშვებ!
— არ გაუშვათ, თორემ ბუღლოზერით ველარ გამოიყვანთ იქიდან!
— ხალხნო! წყლით მევსება ოჯახი!
— გავერდი კაცი, უწყლობით ვიხრჩობი!
— პარკეტის მანჭვა-გრეხვამ ჭკუაზე შემშალა, მე გადარეული ვარ, უუ, გამიშვით!
— ფანჯარა ველარ დამიკეტია, ხალხნო, არ გეცოდებთ! ამდამ ტიკივით გამბერავს ქარი.
ნიანგს თმა ყალყზე დაუდგა. სახლმმართველს თხოვა, შემოეშვათ მომჩივანნი.
— ჩვენ მეექვსე კვარტალის მეათე კორპუსიდან ვართ! დაგვეხმარეთ, ბატონო, იქნება ამინდის ბიურო ჩვენს კორპუსში გადმოიტანონ, — ერთად განაცხადა რამდენიმე.
— რაო?! — გაიკვირვა ნიანგმა.
— რა, ბატონო, და, ყურის ძირში რომ გვექნება ბიურო, წვიმას მომზადებული შევხვდებით, თვარა, ისე, თვალის დახამხამებაში წვიმის წყლით გვევსება ოთახები, რეკონსტრუქციის მანც შეგვისახლეთ ვინმე, სახსრების ტეხვით გამოიცინოს ამინდს.
ნიანგმა სახლმმართველს შეხედა, იმანაც აღარ დააყოვნა.
— მაგ კორპუსი კრამიტითაა გადახურული, კრამიტის სიგანე 38 სანტიმეტრია, კრამიტის საყრდენი ლარტყებიც ამდენივე მანძილზეა დაშორებული, კრამიტები ცვივდება სახურავს შიგნით. წვიმის დროს, წყალი ჩავა შიგ, აბა ღვინო?
— მაგაში ეჭვი ეპარება ვინმეს? — იკითხა ნიანგმა.
— როგორ არა, სმუ № 6-ს.
— მომევეით, ხალხნო! — დაიძახა ახლა სხვამ და კაბინეტის კარი შემოანგრია, — ჩვენ მეოთხე კვარტალის წარმომადგენლები ვართ, თითოეული კორპუსიდან თითოეული.
— თქვენც წყალი ჩამოგდით? — შეაწყვეტინა ნიანგმა.
— როგორ გეკადრებთ, ბატონო, წყალი კი არა, ზღვა! — შესძახეს აქეთ-იქიდან.
— ეგ კორპუსები შიფერიითაა დახურული, შიფერი შიფერზე, ნაცვლად სამისა, დამაგრებულია თითო ლურსმნით. ქარმა აყარა სახურავი, ზღვა კი არა, უარესი რომ არ ჩამოდის, მე ძალიან მიკვირს, — განმარტა სახლმმართველმა.
— სხვას არავის უკვირს? — იკითხა ნიანგმა.
— დანამდვილებით ვერ გეტყვით და, ალბათ, სმუ № 6-ს დღესაც უკვირს, როგორ ჩაიბარა კორპუსები საბინაო სამმართველომ.
— ჩვენ ჯერჯერობით მეშვიდე კვარტალიდან ვართ!
— გამოსახლებას უპირებთ თუ?
— შეიძლება ასეც მოხდეს, — გასცა პასუხი სახლმმართველმა, — მეშვიდე კვარტალის კორპუსებში სიმკარებმა დაიწიეს, ამაზე მიეწერა სმუ № 6-ს.
— რა ჰქნეს მერე?
— დღემდე მეცნიერულ დაკვირვებებს ახდენენ, შედეგი აქამდე არ ჩანს...
ნიანგი გადაიღალა.
სახლმმართველმა წინადადება შეიტანა

— შევისვენოთ.
მაგრამ...
— ჩვენ დაღრეჯილპარკეტებიანები ვართ...
— ღრეჯით მიმართა რამდენიმემ ნიანგს.
— რაშა საქმე? — შეშფოთდა ნიანგი.
... — ასეთი პარკეტი თქვენ რომ გაქვთ, — შეეშველა სახლმმართველი ნიანგს — მიმდინარე წელს 35 მობინადრეს გამოეცვალა 450 მეტრ ფართობზე. ეჭ, ძალიან ბევრია გამოსაცვლელი!
— სმუ № 3-ის მუშაები? — იკითხა ნიანგმა.
— შენს პირს შაქარი! — გაუხარდა სახლმმართველს, — პარკეტიც და მუშაებიც.
— არიქა, კაცი იხრჩობა, „სპასატელი“ დაუძახეთ, — გადარეულივით შემოვარდა ერთი.
— სადაა „სპასატელი“? — რამ გადაგრია, ვილაცა ხარ? — შეუტია სახლმმართველმა.
— იმხელა ზღვა რომ გაჭიმულა პირველი კვარტალის მეოთხე კორპუსის წინ, ერთი „სპასატელი“ არ გეკუთვნით შტატით? ჰოდა, მე რა მენადღლება, თქვენი ინჟინერი იხრჩობა შიგ...
— ამოიყვანეს, ამოიყვანეს! — შემოვარდა მახარობელი, — რუმბივითაა გაბერილი და ახლა თავდაღმა დაჰკიდეს.
სახლმმართველი დამშვიდდა.
— კარებში შლევებიანებივით შემოცვივდნენ ვილაცები.
— გვიშველეთ, ადამიანებო, გვიშველეთ!..
— „პაქარია“? — შეიშალა სახლმმართველი.
— პირველი კორპუსის ქვეშ წყალმა ამოხეთქა.
ყველანი იქით გაიქცნენ.
კორპუსის ევაკუაცია მთავრდებოდა. კანალიზაციის მილებიდან ხმაურით ჩქეფდა წყალი. ცოტა კიდევ და კორპუსი ნოეს კილობანივით ილივილივებდა ტალღებზე.
— რა არის ეს? — განცვიფრდა ნიანგი.
— დამშვიდდით, — მიმართა სახლმმართველმა ევაკუირებულ მასას, — კანალიზაციის ცენტრალური ტრასა გადამიტვირთა, კორპუსის დონე ტრასის დონეზე დაბალია და წყალი, იქით გასვლის მაგიერ, უკან აწვება.
— ეგ თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული? — მკაცრად იკითხა ნიანგმა.
— რა ვიცი, ცოდნის რა დონეზე იდგნენ ამის შემოქმედნი, ეს თბილკანალტრესტის მმართველს კითხეთ!
ფიქრებით დამძიმებული ნიანგი მიაბიჯებდა კახეთის გზატკეცილზე. ნანახ-გაგონილით გაოგნებული წამიდან წამზე ჩერდებოდა და თავის თავს კითხავდა:
— ნუთუ სინდისი არ აწუნებდათ სამშენებლო თუ სამონტაჟო სამმართველოთა მუშაკებს, რომ აურაცხელი ნაკლი დაუტოვეს...
არა, ალბათ, არ უფიქრიათ და უბედურებაც ისაა!
მიდიოდა ნიანგი და ფიქრობდა.
იფიქრეთ თქვენც, ვისაც ეს გეხებათ. იფიქრეთ იმაზე, თუ რას ფიქრობს თქვენზე ოციოდე ათასამდე მცხოვრები. იფიქრეთ!
ნიანგის ინტერვიუ ჩაიწერეს:
სა. მუხურაძემ
და ბ. მუჯირიშვილმა



ორთქლის საშრობი და ნაბახიშვი

ხანდახან სასწრაფოდ გამოიძახებენ ექიმს, ავადმყოფი კვდება და, თუ დგახარ, არ დაჯდე, თუ ზიხარ, ფეხზე წამოვარდი, მოდი და უშველეო. მოვა ექიმი, გამოწერს რეცეპტს, სასწრაფოდ აფრენენ კაცს უახლოეს აფთიაქში, აფთიაქარს Cito-თი დააჩქარებენ და ცხელ-ცხელ წამალს ციმციმ მოარბენინებენ. ავადმყოფი კი არ ჩქარობს წამლის მიღებას, წვეს არხინად და ამდენი კაცის ნარბენალ-ნაჯახირვეი კუნჭულში მიგდებული თვლემს.

არაფერი მსგავსი არ უნდა მომხდარიყო თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ მეხუთე ფილიალში, რადგან მათთვის სასუკვარი და ფრიად აუცილებელი ფანერის გორგოლაჭებიანი ორთქლის საშრობი თორმეტი წლის მანძილზე მთელ დუჟინჯერ მოითხოვეს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს და ნიშნავს კიდევ, რომ იგი ფანერის ქარხანას ისევე ესაჭიროებოდა, როგორც თევზს წყალი, ხოლო მე და თქვენ აზოტგარეული ჟანგბადი.

გორგოლაჭებიანი ორთქლის საშრობი ამ ქარხნის სახელზე ორჯერ მიიღეს თბილისის საბარგო სადგურში, მაგრამ ტყისა და ქალაქის მრეწველობის სამმართველომ ცხვირწინ ააცალა იგი ქარხანას და სხვა ქარხნებს გადაულოცა.

მაგრამ ქარხნის ოპტიმისტი ხელმძღვანელები და კიდევ უფრო ოპტიმისტურად გან-

წყობილი მუშები იმედს არ კარგავდნენ, რომ, დღეს თუ ხვალ, მათაც ექნებოდათ გორგოლაჭებიანი ორთქლის საშრობი. ამ იმედს ისიც აორკეცებდა, რომ აგონდებოდათ ხალხის ნათქვამი, ესაო და ღმერთი სამობითაო. ბოლოს და ბოლოს, ისმინეს ქარხნის დაღადისი და გასული წლის დეკემბერში ჩეხოსლოვაკიდან ხსენებული ფანერის ქარხნის სახელზე ჩამოვიდა სასუკვარი საშრობი.

ამჯერად ქარხანას უფლება მისცეს თავის ეზოში შეეზიდა 12 ვეება ყუთი, რომელთა საერთო წონა 80 ტონამდე აღწევს. შემოაზიდინეს, დააწყობინეს ერთი მეორეზე და...

ქარხნის მესვეურებმა და მუშებმა ტაში შემოჰკრეს, გველირსა და გავიხარეთო... მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მათი სიხარული. არა და არ დაადგა საშველი საშრობის დამონტაჟებას, რამე თუ ყველაფერს ნებართვა უნდა და ეს ნებართვა იქცა, ეგრეთ წოდებულ, ქრისტეს პერანგად. მიზეზები არა და არ დაილია, ესაო და სხვა ქარხნებსაც სჭირდებათ ეს საშრობი, ფანერების ქარხნების გაერთიანება-გამსხვილება გვაქვსო განზრახვაში და, კეთილი ინებეთ და, სანამ გაგაერთიანებდეთ, უყურეთ ამ ყუთებს და ნერწყვი ყლაპეთო.

ამასობაში სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სამმართველოს მუშაკებმაც სამართლიანად ატყვეს განგაში და ქარხნის დედისერთა ბუნებრივი საშრობი სახანძრო საშიშროების თავიდან ასაცილებლად დალუქეს, აქამდე ხელოვნური საშრობი არა გქონდათ, წლების მანძილზე გითმენდით და ახლა თქვენც გეყოთ და ჩვენც გვეყოთ.

ახლა ფანერები გასაშრობად 18-20 კილომეტრის მანძილზე მიაქვთ სხვა ქარხანაში, დაკავებულია ტრანსპორტიც, ზედმეტი მუშა ხელიც, უარესდება პროდუქციის ხარისხი, იზრდება თვითღირებულება, უქმად დგას ძვირადღირებული დიდებული მანქანა, ნერწყვს ყლაპავენ ყუთებში ჩამწყვდეული გორგოლაჭებიანი ორთქლის საშრობის შემყურე მუშები და ოხრავენ...

მ. ქარხანა

P.S. წერილის ბეჭდვის პროცესში საშრობი მანქანას სამტრედიოში უკრეს თავი.



ადამიანის გულთამხილავი, სულის მესაიდუმლე, იღუმალ ზრახვათა სწორუბოვარი მისანი და ჯადოქარი — ლუსიკა გეორგიანი, თბილისში, კიბალჩიის შესახვევის № 8-ში მცხოვრები.

ვინ იცის ამ ქუჩაზე რამდენი გზას აცდენილი ადის იმ იმედით, რომ „დაკარგული ბედნიერების“ დაბრუნებით დააწმუნებული დაბრუნდეს სახლში. ან რამდენი „ბედის მაძიებელი“ გულის ფანცქალით შესდგომია ამ მაღლობს.

განუწყვეტელ ნაკადად მიიქარა კიბალჩიის აღმართზე, რათა მიიღონ „რჩევა-დარიგება“ ლანდებისა და მოჩვენებების დიდოსტატისაგან:

შეყვარებულისაგან მოტყუებულნი, ქმრისაგან ხელაღებულნი, ჭირვეული მეზობლისაგან გაბეზრებულნი, „სატრფოსაგან“ შეცდენილნი და

ჭკუიდან გადაცდენილნი. აი ის ადამიანები, რომლებსაც სჯერათ მკითხავ ლუსიკასი, სწამთ მისი და უსიტყვოდ ემორჩილებიან მის რჩევას! გულაჩუყებული მარჩილი ასე მიმართავს კლიენტებს:

— რა გაგჭირვება, ჯიჯარო? გულის მურაზი დაგიკარგავს? რა ვუყოთ მერე, ამ წუთში გეტყვი სადაა! აბა ერთი შენი ცერა თითი მარჩვენ, ზედ სანთელი ავანთოთ! ხედავ, გოგოჯან, სანთელი შენაკენ გადმოიხარა, ვილაც გოგო თავისკენ ეწევა, მაგრამ ბიჭი ბოლოს შენი იქნება! ბოლო კეთილია!

— შემდეგ ვიპო „ოჩერედა“!

— შენ რა, ქმრიდან ხელი ავილია? თუ იმან აილო შენგან ხელა? ვნახოთ, სანთელი რას გვეტყვის! აა! რა უჯიგრო ყოფილა, ამისთანა ოქროსავით შვილები მიუტოვებია!

— შვილები არა მყავს, ბატონო!

— რომ არ წასულიყო, ხომ გეყოლებოდა?! სულ ერთი არაა! იცი, რას გეტყვი! დამნაშავე მაინც შენა ხარ! რათ გაპყვევი შენზე ახალგაზრდას, ყველამ თავისი ტოლი უნდა ნახოს! მაგაზე ნუ იდარდებ, ერთი ქვრივი კაცია, იმას შენ უყვარხარ და შენც უარს ნუ ეტყვი! გესმის? „პრწავ, განაც!“

— მკითხაოჯან, მე ტაბახმელელი ვარ! საუკეთესო მეწველი ძროხა მყავდა. ჰოდა, წუხელ ბოსლიდან ვილაცას წაუყვანია!

— მილიციას მიაკითხე. ჩემი „ბედის წიგნში“ ქურდებზე არაფერი არა სწერია!..

ლუსიკა დგას თავის „სამკითხაო კაბინეტის“ წინ, რომელიც კიბის ქვეშაა მოთავსებული და დილიდან გვიან ღამემდის ღებულობს კლიენტებს, განურჩევლად ეროვნებისა და ასაკისა! მხოლოდ მისი „ბედის წიგნში“ მამაკაცებზე არაფერი არა წერია! ჩვენს „მამხილებელ წიგნში“ („ნახვში“) 1961 წლის ივნისში, ლუსიკას „მოღვაწეობაზე“ ბევრი რამე ეწერა, რის შემდეგ მარჩიელმა უჩრჩია თავის თავს, რამდენიმე ხნით შესვენება გამოეცხადებია!..

ბოლოს, ფულის სიყვარული ჯადოზე ძლიერი გამოდგა და გაათქვეციებული ენერჯით განაახლა „მუშაობა“. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა კლიენტებს ქუჩაში ღებულობს! კარგი ნაცნობივით გამოსდებს ხელკაცს და ისე მარჩიელობს.

საკითხავია — ნუთუ სათანადო ორგანოების მუშაკებიც ისე „მოაჯადოვა“ ლუსიკას მომწუსველმა თვალმა, რომ ამ სურათს ვერ ამჩნევენ!

ს. უშიჯაური.

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



ბატონო, ამ ხიდზე ნუ გაბრძანდებით, თორემ რომ ჩაიმტვრეს, უხილოდ დავრჩებით!



მლიქმანლის პასუხი

— ჩემს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს! —
— მწვენიერი სიზმარი გინახავთ, კირილიჩ, თქვენ არ მომეც-
ვით!



ხან. ჯ. დოლოვანი

— ჩემს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს!
— ჰუმარა მღვინე გინახავთ?
— უკეთესად თქვენსა და გალმული შემოკავთ სახლში!

ზოგიერთი ჩასკოჩაიანი



ხან. ნ. შალვაშვილი

— თქვენს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს!
— ჩემს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს!
— ჩემს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს!

— თქვენს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს!
— ჩემს შვილს მღვინე უნდა გამოვიდეს!

სხვათა შორის

— მტვრისა თვითონ, ცინკისა
— მტვრისა თვითონ, ცინკისა
— მტვრისა თვითონ, ცინკისა

— მტვრისა თვითონ, ცინკისა
— მტვრისა თვითონ, ცინკისა
— მტვრისა თვითონ, ცინკისა

— მტვრისა თვითონ, ცინკისა
— მტვრისა თვითონ, ცინკისა
— მტვრისა თვითონ, ცინკისა

ახალი ბინები
— ახალი ბინები
— ახალი ბინები

ჩიბუცანს
ჯამნიცება

ჩიბუცანს ვერ შეეჩინ
— ჩიბუცანს ვერ შეეჩინ
— ჩიბუცანს ვერ შეეჩინ

ს ა შ უ რ ა ვ ი

ნათ, დღეს მოდი, დღური სან მთელი სანს, კრატა და თვი-
— ნათ, დღეს მოდი, დღური სან მთელი სანს, კრატა და თვი-



— ლუარსა, ეგ საქონელ დღერთა შეგაროს, მაგარს ჩე-
— ლუარსა, ეგ საქონელ დღერთა შეგაროს, მაგარს ჩე-

პენიატყრები

— ლინო თუ დაავეწ წელს, ძია
— ლინო თუ დაავეწ წელს, ძია
— ლინო თუ დაავეწ წელს, ძია



იხის შესახებ თუ როგორ დათვრა ჩია ჩიაური პირველად

ეს ამბავი ერთ-ერთ მაისობას მოხდა. დღესასწაულის წინაღვეს მამის ღვინო გამოუგზავნეს „ბაჩონკით“. ჩია მამის მერვე კლასში იყო. საჭირო გახდა ღვინოს ბოთლებში გადმოსხმა. ეს ვაჭაკური დაგაღება სიამაყით მიიღო; ზონდის ერთი ბოლო ჩაუშვა „ბაჩონკაში“, მეორეთი მოჰქაჩა ჰაერი ჯანმრთე-



ლი ფილტვებით და იგრძნო, როგორ მოექცა ღვინო სხეულში. რალაც თბილმა და სასიამოვნომ დაუარა ძარღვებში. ასე განმეორდა რამდენჯერმე. როცა შემოაკითხეს, ნახეს: ზის ჩია იატაკზე, „ბაჩონკის“ გვერდით, ცალ ხელში ორად მოკეცილი ზონდი უჭირავს, მეორე ყბისქვეშ ამოუდგია და ტირის. შეკითხვაზე — „რა გატირებს, ბიჭო?“ — უპასუხა. „როგორ არ ვტირო, როცა რალაც საშინელება შემეშობხვა: ვერ ვიგონებ ვინა ვაჭ მე და საიდან მოვედი. როგორ ცხოვრობდი აქამდე... წინ კი რა იქნება, — ვგონებ მანამდეც არ ვიცოდი. რაც მთავარია, ყველაფერი ორ-ორი მეჩვენება: ეს კარგი იქნებოდა მაშინ, ჩემს წინ რომ კომში და ჩურჩხელა ეწყობო, თორემ ახლა თქვენ გეყურებთ. ვერ გიცანით და ახლა ორ-ორს როგორღა გაგიძღებთ“.

ნიხვდნენ რა ტირიც სჭირდა და ურჩიეს: ახლავე ცივი შხაპი მიიღე და გამოკეთდებიო. წამოდგა ჩია და გასწია მარბაცით კარებისკენ. მაინც და მაინც იმ კარებიდან მოინდომა სააბაზანოში შესვლა, რომელიც მოჩვენებითი იყო. მიეჯახა კმდელს, დაეარდა იატაკზე და დაიწყო ფხარკალი.

შეშინდნენ შინაურები: სითხე გულზე არ მოაწვეს და არ მოჰქლასო. გაათხეს სასწრაფოდ წყალი და აიძულეს დიდი ყლუპებით ესვა. — გულსირევას გამოიწვევს და გათავისუფლებოო. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ორი დღე ბოდავში გაატარა ჩია ჩიაურმა. ცა იყო ღვინისფერი, ზღვა იყო ღვინისფერი, იხრჩობოდა ღვინისფერ ზღვაში და არსით იყო საშველი.

როცა მოკეთდა, მოეჩვენა, რომ გათავდა მისი ბავშვობის ხანა და იწყება ჭაბუკობა, რომ იგი უკვე მოწიფულია და შეუძლია დაპოურობდეს არსებობა; „მით უმეტეს, თუ მაგათთან დავრჩი, შემოკლავენ ხელში, ერთ ლიტრზე მეტი დალეული არც შექნებოდა და ხუთი

დასაწყისი „ნიანგი“ № 6.

ლიტრი სითხე ზედ დამამატესო!“ ჩიამ დემონსტრაციულად დატოვა ღვინისცვლები. ეს იყო მისი პირველი კოსმოპოლიტური გამოხდომა, რასაც მკვლევარები „აბაზელის“ უხასიათობით ხსნიან.

თავი მეოთხე

ანუ რამდენიმე ეპიზოდი ჩიაურის სახსატარო აბაღმინაში სწავლის პერიოდთან

ამასობაში მართლაც ჩაიარა ჩვენმა ყრმობამ და მოწიფულობაში შევედით. დავამთავრეთ საშუალო სასწავლებელი და ჩვენ-ჩვენს გზას ვეწვიეთ. მე და კერესა სამხატვრო აკადემიაში მოვეწყეთ. მეორე კურსზე ვიყავით უკვე. ჩიაურს რა დაევაგიწყებდა, ხშირად ვნახულობდით, მაგრამ ჩვენი საქმით ვიყავით დატვირთულნი და უკანასკნელი წლის მანძილზე რატომღაც არ შევხვედრივართ.

მაგრამ განგებამ არ გაგვეჩირა და მოწყალე თვალთ გადმოგვხედა. ეს იყო აკადემიაში ჩვენი სწავლის მეორე წელიწადს, სექტემბრის ბოლოს, თუ ოქტომბრის დასაწყისს. უცებ გაიღო აუდიტორიის კარი და რას ვხედავთ — ჩვენი ჩია ჩიაური გაზრდილა, დამხვებულბულა, უღაცაშიც დაუშვებენია, თავი ღირსეულად უჭირავს... შემოუძღვა პროფესორი, მოჰყვა ჩიას დახასიათება: ტალანტიანი, გატყენილი, დიდად განსწავლული, ყმაწვილია, აბა ფეხები იცით. როგორ ამხანაგობას გეუწოდებ, თუ მარჯვედ იქნენი და არაფერი გამოგვატარა, მაგისგან ბევრ სიკეთეს ისწავლით.

ჩია ამასუად დაჯდა და დაამშვენა ადგილი. დროდადრო ღირსეულად აბრუნებდა თავს ჩვენსკენ და საზოგადოებას სწავლობდა. ჩვენც „გაოცებით“ შევეყურებდით და ერთი სული გვექონდა, როდის შეგვნიშნავდა. ლექცია რომ დამთავრდა და გარეთ გამოვიშალენით, მან გულგრილად და, ცოტა არ იყოს, ამაყადაც ჩამოგვართვა ხელი, თან მოგვანახლა: „აბა რა გეგონათ, სკოლაში რომ გამასწარიო, ცხოვრებაშიც გამასწარებდითო!“ ჩვენ თავმდაბლად ვუპასუხეთ, რომ გვიხარია მისი დაწვევა. თან მოკრძალებით ვკითხეთ: „როდის ჩავიგარდა მხატვრული ნიჭი. კი არ გეწყინოს და სკოლაში მსგავსი არაფერი შეგვინიშნავსო“. ჩია ჩიაურმა მწარედ ჩაიღიმა და გვიპასუხა: „ზოგს ადრე გამოჩანდება ნიჭი და ზოგს გვიან. — ბალზაკი ორმოცი წლის იყო თავისი პირველი კომედია „მეფე ლირი“ რომ დაწერაო“.

მოგვიანებით შევიტყუეთ, რომ ფერწერის განყოფილების დეკანი ჩიაურის ერთი-ერთი ბიძათავანი ყოფილა დედის მხრიდან და სწავლება გულაცრუებული ჩვენი ჩია გზაზე დაუყენებია.

ჩვენც წაყვევით ჩიაურს მაღაზიაში, ვიყიდეთ ზეთის ფერები და წავიდა ჩიას ცხოვრება ფერად-ფერად, ვითარცა აქამდე.

აკადემიაში სასწავლო წლის დამთავრებისას ყველა კურსი აწყობდა საანგარიშო გამოცენას. ჩიაურის კურსმაც მიიღო ერთ კუთხეში ტუმბურები და მოღებრტები, რათა მეტი თავისუფლება ყოფილიყო. ჩიამ შენიშნა მილაგე-

ბული ტუმბურებისაგან მშვენიერი საფეხურები და ტახტის მსგავსი რამ გაკეთებულიყო, რომელზეც ვილაყას ხალიჩაც კი გადაეფინა. ჩიაურმა დინჯად აიარა საფეხურები, ფეხმორთხმული მოთავსდა ხალიჩადაფარებულ ტუმბურებზე. რაიც საბრძანებელ ტახტად წარმოიდგინა და თავი შაჰინ-შაჰად გამოაცხადა.

მაშინ პირველად უჩვენებდნენ კინოსურათ „გიორგი სააკაძეს“ და იმ სურათის გავლენის ქვეშ მყოფი სტუდენტები აპყვნენ ჩია ჩიაურს, მით უმეტეს, უკვე იცოდნენ რა კარგი თამაში იყოდა ჩიამ და დროც ჰქონდათ — საგამოდლო კომისიის მოლოდინში თავს გავირობებოდა.

ზოგი გვერდით ამოუდგა ფუნჯით ხელში, როგორც მცველი, ზოგმა ვეზირად ჩათვალა თავი, ზოგმა კიდევ რად.

ერთი აჭარელი სტუდენტი, გვარად ხალვაში, რომელიც არასოდეს ერეოდა ჩიას თამაშებში, აკადემიაში მხოლოდ სიდიდით იყო ცნობილი, მაგრამ ამჯერად ვერც მან გაუძლო ცდუნებას, თავი მთავარსარდლად წარმოიდგინა, მოწიწებით აიარა კიბეები, თაყვანი სცა: „მტერი დამარცხებულია და მათი ჯართუფროსები ტყვედ წამოვიყვანეთ“ — მოახსენა და იქვე მდგომ, თამაშში უადგილოდ დარჩენილ სამ სტუდენტზე მიუთითა, რომელთაც უკვე მოესწროთ დამარცხებულთა პოზის მიღება.

„შაჰინ-შაჰი“ აღაფრთოვანა ასეთმა ცნობამ და შალვა ცხადაურს, რომელიც მეორე ვეზირის მოვალეობას ასრულებდა, უბრძანა მოერთმია „ორდენების პალიტრა“. შალვა მიუხვდა ჩიაურს — და უმალ მიაცილა პალიტრა ფერებით.

ჩიაურმა თავისი საკმაოდ დიდ ცერზე მოიქცია ზეთის ღია ყვითელი ფერი „სტრონცი“, „მთავარსარდლმაც“ მიუშვირა აკერდი, რომელსაც ახალთ-ახალი კოზალტისფერი კოსტუმი ამშვენებდა — სტიპენდიის ფულით შექმნილი.

ჩიამ მშვენიერი მრგვალი, სქელი ლაქა მოხაზა ხალვაშის მკერდზე, თავი უკან გადასწია, ასე შეათვალერა და კმაყოფილი დარჩა.

ხალვაში დიდხანს ვერ გამოეყვავა, — მართლა გასწირა „შაჰინ-შაჰმა“, თუ მოეჩვენა. დიდხანს უყურა ჯერ ცერს მეუფისას, რომელზეც აღარ იყო ფერის ნასახი, მერე საკუთარი კოსტუმის „ბორტს“ რა დარწმუნდა, მართლა დაუსვარეს კოსტუმი საშინელი ფერით, რომელიც იმით გამოირჩევა ზეთის ფერებში, რომ ძნელად სცილდება ქსოვილებს, — მოინდომა დაეხრჩო ჩიაური.

მიუხვდა ჩია განზრახვას და აუღელვებლად — თუმცა, რომ დაპგვიანებოდა ერთის წამით, მართლაც მოგუდული დავარდებოდა ქვეშევრდომთა წინაშე, ისეთ ფიზიკურ ძალას ფლობდა „მხედართმთავარი“ — გასცა ბრძანება, რომელიც ნომრად მეორე იყო მისი მეუფების მანძილზე:

„შეპკარით და დააკავეთ, ვიდრე

ზემელამდე მისკლას მოეაწერებდე!“

მისცივდნენ მართლაც სტუდენტები, რომელთაც „შაჰინ-შაჰის“ მცველობა ეკისრებოდათ და ყური არ ათხოვეს ხალვაშს, რომელიც გამწარებული გაპყვიროდა: თამაშიდან გამოსული ვარ, გამიშვით, მართლა უნდა მოვკლოა“.

მაგრამ მანამდე გააგრძელეს თამაში და დაკავებული ჰყავდათ „მეამბოხე“, სანამ ჩიაური სამშვიდობოს არ გაიგულეს.

საზაფხულო პრაქტიკაზე ჩიაური წინანდლში გაგზავნეს. დაიჭერდა „სტილენიცს“ და სხვა სამხატვრო მოწყობილობას, მიადგებოდა რომელიმე შეძლებული კოლმეურნის ოჯახს და მოეწყობოდა საშობარეულოს მახლობლად — „აქედან უკითხი პეიზაჟიო“. ნამდვილად კი იმისათვის, რომ გაეგო რას აპირებდნენ სადილად. მის თვალწინ ხდებოდა საშხადისი. შინაურ საქმეებშიც ჩაერეოდა, საკამაში რჩევას მისცემდა დიასახლისს, სადილობამდე ხატავდა, ფეხს არ მოიცივლიდა — უნდა დაეპატიყნათ, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ.

სიტყვა-პასუხი კარგი აქვს ჩიას და სადილზე მასპინძელი მშვენიერი სიტყვით მიმართავდა: სტუმარ-მასპინძლობას შეუქმნა და სადილს ქეიფში გადაზრდიდა. ისე გაშინაურდებოდა. — მეზობლებსაც გადმოიმატიყებდა, კარგად გამოთვრებოდა და დაწყენარდებოდა. წამოსვლისას სამხატვრო ხელსაწყოების წამოღებას განზრახ დაივიწყებდა, რათა მეორე დღით ნაბახუსარზე იქვე გამოსულიყო.

ახლა სხვა მოსახლეს შეუჩნდე ბოდა, და ასე ქეიფებში გაატარა თვენახევარი. ისეთი დღე დააყენა მოსახლეებს, — თვალს რომ მოჰქრავდნენ, დედაბუღინადა წვილიკვილით კარში გამობრუნდნენ და სახლს ბოქლომს ადებდნენ — ორი დღით მოყვრებში მიგდევართო.

ასე იცილებდნენ ჩიაურის „ეგზეკუციას“. წინანდლებს ახლაც ახსოვთ ეს ამბავი და როგორც ჟამიანობას, ისე იგონებენ იმ დღეებს.



როგორც სტურა.

მე ვუყვარვარ, ვაყვარვარ!

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საინფორმაციო
სისტემა



ამნაირი კაცის ქვეყნად არაფერი გვიკვირს რა, სულ ლაყბობად ჩაეთვალა, რაც კრებაზე იკისრა.

მე არმაზის ქ. № 11-ში მდებარე სახლი ვარ, ქუჩისაკენ წაბრილი და გადაწოლილი, კედლებ-გაბზარული-გაბლენილი, დრომოჭმული და ჟამსგადასული. განსაკუთრებით იქა ვარ მოშლილი და მოფამფალებული, სიდაც სერგო ტურიკოვის ოჯახი ცხოვრობდა...

— მე ვუყვარდი სერგოს და მეც მიყვარდა სერგო, უწყინარი კაცია, რომ იტყვიან, ბუხს არ ააფრენსო, სწორედ ისეთი. მაგრამ ასეთი მომთმენი თუ იყო და გულადი, არა და არ ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა, კაცს ჭირი და განსაცდელი გამოსცდის და აპა გამოსცადა კიდევ. იმის შესახებ, მე რომ ვინგრევი, სად არ იჩივლა სერგომ, ვის არ შესჩივლა, ვინ არ მოიყვანა, საბინაო სამართველოდან გინდათ, თუ რაისაბჭოდან მოვიდოდნენ, მნახავდნენ, შეშინდებოდნენ, ფერფური წაუვიდოდათ, შეიბრალებდნენ ჩემს გულად ბინადარს, დახმარებას აღუთქვამდნენ, წავიდოდნენ, დაადგენდნენ, მერე მიჩუმდებოდნენ...

ერთხელ ასეთი ნებართვაც კი მიიღო სერგომ 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომიდან: „...სახლის დაზიანებისათვის შეგიძლიათ საჩივარი აღძრათ სახალხო სასამართლოში იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც დამნაშავენი არიან ამ საქმეში. თუ ჩვენს მიერ წინადადებას არ შეასრულებთ და რაიმე უბედურ შემთხვევას ექნება ადგილი, მაშინ სრული პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ“ სტილიც იმათია, გულ-

შემატკივრობაც იმათი, სიტყვებიც იმათი.

ცოლი ყავს ჩემს სერგოს, ოჯახი აქვს, სიამტკბილობის მეტი არა მინახავს რა მათ შორის, სხვა ცოლ-ქმრებს კი არა გვანან, კატა და ძაღლივით რომ არიან ერთი მეორესთან გადამტერებულ-გადაკიდებულნი. ტკბილად ცხოვრობდნენ, ჭუჭყუკებდნენ, ახარებდნენ თავიანთ ჭიას, მაგრამ რაც მე გავიბზარე და გადავიხარე, ცოლმა აქაურობა დატოვა და, როგორც ამბობენ, თავის დასთან გადაბარგდა. რა ვქნა, აქ ღამეს ვერ გავათევ, მფრინავის გული არა მაქვსო.

ისიც გასაკვირია, სერგო როგორ ძლებს ჩემი შემყურე. კაცო, რა გული უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ ჩემმა შემყურემ ჩემს ჭერქვეშ ღამე გაათიოს, მაგრამ ვენაცვალე რაისაბჭოდან ამას წინათ მოსულ ინჟინრებს, თათხში ბოძები შემიყენეს და სერგო დამიიმედეს, არხეინად იყავი, საღათას ძილით იძინე, კედლები რომ გადაწვეს, ჭერი ადგილზე დარჩება, შენ ფრჩხილიც არ გაგეფხაჭნება, ამიერიდან შიში არა გმართებს, ოღონდ საოჯახო ნივთები, გინდა, თუ არ გინდა, კედლებს მოაშორე, რამეთუ კედლები, დღეს თუ არა, ხვალ გადაიტყვევავო.

თქვენ აშენება თქვით, თორემ დაქცევას რა უნდა, დამეცქეს სახლ-კარი, თუ მე ჩემს დაქცევას ვდარდობდე, მაგრამ ამდენი ხანი უცოდველად მიცხოვრია და მინდა ასევე უცოდველად წავიდე ამ წუთისოფლიდან.

ბ. შავიერაზვილი.

სასტუმრო და კატეგორია

ეს არაკი სულაც არ არის, სინამდვილეა, ოღონდ საარაკო სინამდვილე. ბოლნისშიაც მშვენივრად იციან, რომ რაოდენობა თვისობრიობაში გადადის. ეს იცოდა სასტუმროს დიასახლისმაც. ვიდრე ბოლნისი რაიონული ცენტრი იყო, მისი სასტუმრო მეოთხე კატეგორიის სასტუმროდ ითვლებოდა. მაგრამ აი, იქცა ბოლნისი საწარმოო სამმართველოს ცენტრად. გამსხვილებულ ცენტრს მეოთხე კატეგორიის სასტუმრო არა და არ შეეფერებაო, თქვა დიასახლისმა და კატეგორიულად დასვა საკითხი მეოთხე კატეგორიის სასტუმრო მეამე კატეგორიის სასტუმროდ ექციათ. კატეგორიებს საწოლების რაოდენობა განსაზღვრავსო, — უთხრეს. — მერე რა, საწოლების გაზრდას რა უნდაო. თქვა დიასახლისმა. თუ ოთახში ადრე ორი კაცი იძინებდა, ახლა 4-6 საწოლი დადგეს, უფრო თბილად და უფრო მზიარულად იქნებიანო. თუ ადრე ერთი საწოლის ღირებულება დღელამეში 70 კაპიკს შეადგენდა, ახლა თითოეული საწოლის ღირებულებამ 1 მანეთს და 20 კაპიკს მიაღწია. გაუარესდა მომსვლელის მდგომარეობა, მაგრამ, სამაგიეროდ, გაიზარდა სალაროს შემოსავალი, გაიზარდა საწოლების რაოდენობა, სასტუმროს დიასახლისი სასტუმროს ღირებულებად იქცა, მოიმატა შტატების ოდენობამ, იმატა ცალკეულ ერთეულთა ხელფასმა და, ამგვარად, ერთის მოსმით, რამდენიმე საქმე გაკეთდა.

ახლა, ბოლნისში რომ ჩახვალ, მეოთხე კატეგორიის სასტუმროს ნაცვლად მესამე კატეგორიის სასტუმრო დაგხვდება, ცოტა უარესად მოგემსახურებიან, ცოტა მეტს გადაგახდევინებენ, ცოტა უფრო ვიწროდ იქნები, მაგრამ, ვცნაო



საჯონი დაიწყო სტადიონის ფილიალი ოჯახში.

თევზი უნდა, ფეხიც ხომ უნდა უნდოდეს სველი, ჰოდა, გაიჭირეთ, ბიძია, ცოტა, აბა, როგორ გინდათ, უკეთეს კატეგორიას, კატეგორიულად თუ გაჯიუტდებით, ვერა და ვერ მიაღწევთ. ვიწროდ თუ ხართ, სამაგიეროდ, თბილად ხართ, შეუწყეთ ერთმანეთს ხელი, ნაკლები იხმაურეთ, ფეხაკრფით იარეთ, ნაკლე-

ბად იხზებთ, იყაყანეთ, იდავიდარაბეთ და, რაც მთავარია, ნაკლები იხვრინეთ და საქმე ალჩუზე დაგიჯდებით. ჩემი გამოცდილების კაცს რჩევა კი არა, სიზმარი დაეჭერება. ჰოდა, დამიჯერეთ, ბიძია, კატეგორიულად ვითხოვ, დამიჯერეთ.

მ. ნიჟარაძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, რედაქტორი ნ. შველიძე. | ნაქ. კმ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 4/IV-1963 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 674, უფ 03192 ტირაჟი 40.000

